OBSERVATION MISSIONS OF THE UNPO (UNREPRESENTED NATIONS AND PEOPLES ORGANIZATION) IN ABKHAZIA, 1992–1993

UNPO-ს (არწარმოდგენილი ერებისა და ხალხების ორგანიზაცია) სადამკვირვებლო მისიები აფხაზეთში 1992-1993 წ.წ.

GIORGI BUTSKHRIKIDZE

PhD student of history
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Chavchavadze avenue 1, Tbilisi, Georgia.
ORCID: 0009-0005-2820-5635
giorgi.butskhrikidze464@hum.tsu.edu.ge
+995577394158

Abstract

The Unrepresented Nations and Peoples Organization (UNPO) began to take shape in the late 1980s. The organization's primary objective is to support nations and peoples that lack international recognition and, consequently, are not represented in the United Nations. As a result, the participation of such entities in international processes remains minimal. The organization was formally established in February 1991 at the Peace Palace in The Hague. Among its founding members was the Republic of Georgia, which held membership status from 11 February 1991 until 31 July 1992, when it acceded to the United Nations. Accession to the UN constitutes the principal reason for the termination of an entity's membership in the UNPO. In Georgia, cooperation with the organization was carried out through the National Democratic Party.

In 1992, the UNPO conducted two missions in Georgia: the first in July, prior to the outbreak of hostilities, and the second in November of the same year, following the genocide of Georgians in Gagra and the violation of the Moscow Agreement of 3 September. The first mission was personally led by the organization's chairman, Michael van Walt van Praag, who visited Abkhazia at the invitation of the Abkhaz separatist leader, Vladislav Ardzinba. In Sukhumi, he held meetings with both Abkhaz and Georgian deputies. During the second mission, Michael van Walt van Praag met with the Chairman of the State Council and the de facto head of state, Eduard Shevardnadze.

Keywords: UNPO; International Organization; War in Abkhazia.

გიორგი ბუცხრიკიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი (ისტორია)
საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის #1
ORCID: 0009-0005-2820-5635
giorgi.butskhrikidze464@hum.tsu.edu.ge
+995577394158

აბსტრაქტი

UNPO“ (Unpresented Nations & Peoples Organization) “არწარმოდგენილი ერებისა და ხალხების ორგანიზაცია” ჩამოყალიბება დაიწყო XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს. პირველ ეტაპზე დამფუძნებლებს შორის, იყვნენ კომუნისტური რეჟიმების მიერ დევნილი, ესტონეთის კონგრესის ლიდერი, სინოლოგი ლინარტ მელი უიღური ხალხის წარმომადგენელი ერკინ ალტპეკინი და ლოდი გუარი ტიბეტიდან. ხოლო ორგანიზაციის ხელმძღვანელი გახდა ნიდერლანდელი სამართლის პროფესორი მიხაელ ვან ვულტ ვან პრააგი, რომელიც ასევე იყო დალაი-ლამა XIV -ს მრჩეველი.

ორგანიზაცია ოფიციალურად დაფუძნდა 1991 წლის თებერვალში, ჰააგის მშვიდობის სასახლეში. დამფუძნებლებს შორის იყო საქართველოს რესპუბლიკაც რომელსაც ორგანიზაციის წევრის სტატუსი ჰქონდა 1991 წლის 11 თებერვლიდან 1992 წლის 31 ივლისამდე, ვიდრე საქართველო გახდებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი რომელში გაწევრიანებაც მთავარი მიზეზია სუბიექტისათვის UNPO-ს წევრის სტატუსის შეწყვეტისა. მაგრამ გარკვეული პერიოდი საქართველო „მხარდამჭერი წევრის“ სტატუსს ინარჩუნებდა. ორგანიზაციის მიზანია დაეხმაროს იმ ერებსა და ხალხებს, რომლებიც არ არიან აღიარებული სხვა სახელმწიფოების მიერ და არ არიან წარმოდგენილი გაეროში. შესაბამისად, ასეთი სუბიექტების მონაწილეობა საერთაშორისო პროცესებში მინიმალურია. ასევე ისეთი საკითხები, როგორიცაა კულტურული უფლებების დაცვა, რელიგიური უფლებები, თვითგამორკვევის უფლება, ადამიანის ინდივიდუალური უფლებები, მკვიდრობის უფლებები, გარემოს დაცვის საკითხები და სხვა, პირდაპირ გავლენას ახდენს ამ ხალხთა ყოველდღიურ ცხოვრებასა და არსებულ მდგომარეობაზე. 1992 წელს გაწევრიანდა აფხაზური მხარეც ორგანიზაციამ სამი ტენდენციური ანტიქართული ხასიათის მოხსენება მოამზადა აფხაზეთის ომის საკითხზე. ნაშრომში განვიხილავთ თითოეულ მათგანს.

წარმოდგენილი ნაშრომი საქართველოში მოცემული სადამკვირვებლო მისიის მუშაობისა და მათ მიერ მომზადებული დასკვნების განხილვის პირველ მცდელობას წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: UNPO; საერთაშორისო ორგანიზაციები; ომი აფხაზეთში.

შესავალი

1991 წლის დეკემბერსა და 1992 წლის იანვარში, თბილისში განვითარებული მოვლენების შედეგად, კანონიერი ხელისუფლება დაემხო. ხელისუფლების სათავეში ე.წ. „სამხედრო საბჭო“ მოვიდა. ქვეყანაში, ფაქტობრივად, სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა. აღნიშნულ პროცესს, თავის მხრივ, აფხაზური სეპარატისტული მოძრაობის განსაკუთრებული გააქტიურება მოჰყვა, რომელიც *„ძირითადად საკანონმდებლო განუკითხაობაში გამოიხატებოდა, რაც ხორციელდებოდა საქართველოსა და თვით აფხაზეთის კონსტიტუციების უხეში დარღვევითა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის სრული იგნორირებით“* (ყოლბაია, გელანტია, ლაცუზბაია, ჭახრაკია, 1999, გვ. 101).

1992 წლის 9 მაისს შეიქმნა ეროვნული ერთიანობის საბჭო, რომელიც აფხაზეთში ქართული მხარის ინტერესებს იცავდა და აწარმოებდა მოლაპარაკებებს სეპარატისტთა ზომიერ ნაწილთან. 19 მაისს აფხაზეთში ჩამოყალიბდა პირველი ქართული შენაერთი – სოხუმის მექანიზებული ბატალიონი. 23 ივლისს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სეპარატისტულად განწყობილმა ნაწილმა აშკარად პროცედურული დარღვევებითა და უკანონოდ, ქართული დეპუტაციის ნების საწინააღმდეგოდ, მიიღო დადგენილება და აღადგინეს ე.წ. „აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1925 წლის კონსტიტუცია“. საქართველოს ხელისუფლებამ აღნიშნული დადგენილება გააუქმა (საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დადგენილება 2000, გვ. 77-78). ქართული მხარე აქტიურად ცდილობდა გაწვავებული ვითარების დარეგულირებას და ცენტრალური ხელისუფლების უმაღლესი პირები მუდმივად ჩადიოდნენ აფხაზეთში. ამ პერიოდში განსაკუთრებით გართულდა ვითარება საქართველოს რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთზე, რომელიც მუდმივად იძარცვებოდა და ამით საფრთხე ექმნებოდა როგორც საქართველოს, ასევე მეზობელი რესპუბლიკების, ძირითადად, სომხეთის მომარაგებას (და ხვალ იყო ომი, 1998: 4) აღნიშნულს დაემატა ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელთა გატაცებები დასავლეთ საქართველოში (ნადარეიშვილი, 1996, გვ. 52).

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმში 1992 წლის 10 აგვისტოს მიიღეს სპეციალური დადგენილება რკინიგზის დაცვის შესახებ (საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დადგენილება 2002: 79) 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთის რეგიონში შევიდნენ ქართული შეიარაღებული ძალები, რომელთაც რკინიგზის დაცვა ევალებოდათ და ეს საკითხი შეთანხმებული იყო აფხაზურ მხარესთან. თუმცა გადაადგილების დროს მათ ცეცხლი გაუხსნეს, რასაც მსხვერპლი მოჰყვა (ჯოჯუა 2009, გვ. 158). ფაქტობრივად, ამ თარიღიდან აითვლება ომი აფხაზეთის რეგიონში, რომელიც 1993 წლის 27 სექტემბრამდე გაგრძელდა და ათასობით ქართველის სიცოცხლე შეიწირა, 200 ათასზე მეტი კი დევნილად იქცა.

ქართული მხარე კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისათვის სხვადასხვა გზებს ეძებდა, მათ შორის იყო რუსეთის ფედერაციის ჩართვა მოლაპარაკებებში. საქართველოს ხელისუფლებამ მიმართა მოსკოვს სამშვიდობო ინიციატივით. 1992 წლის 3 სექტემბერს,

ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის მხარედ ასევე გამოცხადდა რუსეთის ფედერაციაც (მოსკოვის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტი 2002: გვ.81) თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რუსულ მხარეს არაფერი გაუკეთებია ხელშეკრულების რეალიზებისათვის და ამით, ფაქტობრივად, ხელს უწყობდა სეპარატისტთა გაძლიერებას: *„ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ რუსულმა მხარემ კიდევ ერთხელ გამოავლინა ჩვეული დიპლომატიური ვერაგობა და თითიც არ გაანძრია „შემაჯამებელი დოკუმენტის“ პირობების შესასრულებლად. უფრო მეტიც, მოსკოვის აშკარა წაქეზებით, ვ. არძინბა თითქმის მაშინათვე შეუდგა 3 სექტემბრის შეთანხმების რევიზიას“* (პაპასქირი 2007: გვ.380), რომლის საბოლოო შედეგიც იყო იმავე წლის ოქტომბრის დასაწყისში გაგრაზე განხორციელებული შეტევა და ქართველთა მასობრივი მკვლელობები, რომელსაც გენოციდისა და ეთნიკური წმენდის სახე ჰქონდა. გაგრისთვის წარმოებულ ბრძოლაში, ისევე, როგორც მთელი ომის განმავლობაში, აფხაზებს მხარს უჭერდნენ ჩრდილოკავკასიელი დაქირავებულები და რუსეთის შეიარაღებული ძალები. სეპარატისტებმა შეძლეს რუსეთ-საქართველოს სასაზღვრო ზოლზე გასვლა და, შესაბამისად, მათ უკვე ფაქტობრივად შეუფერხებლად ჰქონდათ წვდომა რუსულ მხარესთან სახმელეთო გზით. გაგრის ტრაგედია იყო აფხაზეთის ომის დროს ქართველთა გენოციდისა და ეთნიკური წმენდის დასაწყისი, რაც მთელი ომის განმავლობაში არ შეწყვეტილა (პაპასქირი, 2007, გვ. 384). გაგრასა და ზოგადად აფხაზეთში ქართველთა მიმართ განხორციებული ეთნოწმენდისა და გენოციდის ფაქტები დაგმო საერთაშორისო საზოგადოებამ და აისახა ისეთ დადგენილებაში, როგორიცაა ბუდაპეშტში მიღებული ეუთოს დოკუმენტი. ასევე, ქართველთა მიმართ გენოციდი დაფიქსირებულია ეუთოსა და გაეროს შესაბამის დოკუმენტებშიც (OSCE-Summit of Heads of State or Government 1996, გვ.3; ალექსიძე 2008, 33-46). გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიისა და უშიშროების საბჭოს 1994 წლის 4 მარტისა და 25 მარტის (გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 906), ასევე 1995 წლის ასევე 24 მარტის რეზოლუციებში (გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 993).

აფხაზეთში მიმდინარე პროცესების შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიწოდება მსოფლიო საზოგადოებისათვის ქართული მხარისათვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა იმ ფონზე, როდესაც სეპარატისტული და რუსული საინფორმაციო არხები ომისთვის წინასწარ ემზადებოდნენ. ისინი აქტიურად ავრცელებდნენ ცრუ ინფორმაციებს რეგიონში არსებული ვითარების შესახებ. (უიცა, ფ. 767, აღ.1, ს. 111, ფურც. 15-17). როგორც რუსი ავტორი სვეტლანა ჩერვონაია აღნიშნავს: *„წინასწარ წარმოებდა კავშირისა („ესენგეს“) და უცხოეთის ცენტრებში „თავისიანების“ (სათანადოდ ინფორმირებული, განწყობილთა გაფრთხილებთა) მოძიება.. ჩამოჰკრავდა თუ არა „იქს-საათი“ და დაიწყებოდა სისხლისღვრა, „აფხაზური მხარის გამოსასარჩლებლად“, მყისვე ჩაერთვებოდნენ ამ როლისათვის უკვე მომზადებული „დამცველები“, საერთაშორისო მიმომხილველთა, ტელეკომენტატორთა, სამეცნიერო ინსტიტუტების „სპეციალისტთა“, „მშვიდობის დაცვის ცენტრი და სხვ.“* (ბრჭყალები და ყოველი დაზუსტება ავტორისეულია-გ.ბ) (ჩერვონაია, 1994, გვ. 125).

მეთოდები

ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოვიყენეთ შესაბამისი კვლევის მეთოდოლოგია. ისტორიული მოვლენების დროის დინამიკაში შესასწავლად მივმართეთ ისტორიზმის პრინციპს, რომელიც საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ ისტორიული მოვლენების განვითარებას მისი საწყისიდან და დავინახოთ მიმართება სხვა პროცესებთან. ვინაიდან ჩვენს ძირითად სამეცნიერო წყაროს წარმოადგენდა ოფიციალური დოკუმენტები, რომელთა შინაარსიც გამოირჩეოდა სუბიექტურობით, ისტორიული პროცესებისა და ფაქტების შესაჯერებლად მივმართეთ სამეცნიერო ლიტერატურას, პრესის მასალებსა და საარქივო დოკუმენტებს.

შედეგები

წარმოდგენილი ნაშრომი საქართველოში მოცემული სადამკვირვებლო მისიის მუშაობისა და მათ მიერ მომზადებული დასკვნების განხილვის პირველ ნიმუშს წარმოადგენს. მომზადებული დასკვნებს მიხედვით, როგორც ომის წამოწყებად ისე მთავარ დამნაშავედ გამოყვანილია ქართული მხარე. დასკვნები ცალმხრივია და ძირითადად გაზიარებულია აფხაზი და პროაფხაზური განწყობების პოლიტიკოსთა თუ ექსპერტთა მოსაზრებები. ნაშრომის ფორმატიდან გამომდინარე ვეცადეთ შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურისა და პრესის მასალების გამოყენებით გამოგვეკვეთა დასკვნების სუბიექტური და ობიექტური მხარეები და განგვეანალიზებინა იგი.

მსჯელობა

„UNPO“ (Unpresented Nations & Peoples Organization) “არწარმოდგენილი ერებისა და ხალხების ორგანიზაცია” ჩამოყალიბდა XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს. პირველ ეტაპზე დამფუძნებლებს, რომელთა შორისაც იყვნენ კომუნისტური რეჟიმების მიერ დევნილი, ესტონეთის კონგრესის ლიდერი, სინოლოგი ლინარტ მელი (Jürgenson, 2022, გვ.27-37), უიღური ხალხის წარმომადგენელი ერკინ ალტპეკინი და ლოდი გუარი ტიბეტიდან. ხოლო ორგანიზაციის ხელმძღვანელი გახდა ნიდერლანდელი სამართლის პროფესორი მიხაელ ვან ვულტ ვან პრააგი, რომელიც ასევე იყო დალაი-ლამა XIV -ს მრჩეველი (https://unpo.org/about/)

ორგანიზაცია ოფიციალურად დაფუძნდა 1991 წლის თებერვალში, ჰააგის მშვიდობის სასახლეში. დამფუძნებლებს შორის იყო საქართველოს რესპუბლიკაც (https://unpo.org/section/2), რომელსაც ორგანიზაციის წევრის სტატუსი ჰქონდა 1991 წლის 11 თებერვლიდან 1992 წლის 31 ივლისამდე, ვიდრე საქართველო გახდებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი (დოღონაძე, 2002, გვ. 45; გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუცია 763), რომელში გაწევრიანებაც მთავარი მიზეზია სუბიექტისათვის UNPO-ს წევრის სტატუსის შეწყვეტისა[1].

[1] **შენიშვნა:** *კვლევის პროცესში დავუკავშირდით აღნიშნულ ორგანიზაციას და მოვითხოვეთ დამატებითი მასალები ორგანიზაციაში საქართველოს წევრობისა და აფხაზეთის ომში ჩართულობის საკითხებზე, მაგრამ საიტზე განთავსებული ოფიციალური ინფორმაციის გარდა დამატებით ცნობები ვერ მოგვაწოდეს.*

მაგრამ გარკვეული პერიოდი საქართველო „მხარდამჭერი წევრის“ სტატუსს ინარჩუნებდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველო იმავე წლის 24 მარტს გახდა ეუთოს წევრიც (სარალიძე, 2009, გვ. 150).

ორგანიზაციის მიზანია დაეხმაროს იმ ერებსა და ხალხებს, რომლებიც არ არიან აღიარებული სხვა სახელმწიფოების მიერ და არ არიან წარმოდგენილი გაეროში. შესაბამისად, ასეთი სუბიექტების მონაწილეობა საერთაშორისო პროცესებში მინიმალურია. ასევე ისეთი საკითხები, როგორიცაა კულტურული უფლებების დაცვა, რელიგიური უფლებები, თვითგამორკვევის უფლება, ადამიანის ინდივიდუალური უფლებები, მკვიდრობის უფლებები (რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე-გ.ბ), გარემოს დაცვის საკითხები და სხვა, პირდაპირ გავლენას ახდენს ამ ხალხთა ყოველდღიურ ცხოვრებასა და არსებულ მდგომარეობაზე (https://unpo.org/about).

ორგანიზაციის მიზნები და ამოცანები დაზუსტდა 1992 წლის აგვისტოში გამართული მეორე გენერალურ ანსამბლეაზე. ორგანიზაციის საქმიანობის ნაწილს წარმოადგენს პრევენციული ქმედებები, რომლებიც უნდა გატარდეს ისეთ რეგიონებში, სადაც არსებობს სხვადასხვა ერებს შორის დაპირისპირების საფრთხე. იმის გათვალიწინებით რომ ორგანიზაციას აქვს მწირი ფინანანსური რესურსები, პრობლემურ რეგიონებში სადამკვირვებლო მისიების გაგზავნა და როგორც ორგანიზაციის წევრთა თხოვნით ასევე სხვადასხვა სახელმწიფოთა მიმართვის საფუძველზე და მათი მუშაობა მოკლევადიანია. მისიის წევრები გასაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ იმ ფაქტორებზე, რომლებმაც შესაძლოა ძალადობის და კონფლიქტის გააღვივება გამოიწვიოს.

აღნიშნულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. რაც შეეხება აფხაზეთს, აღნიშნულ ორგანიზაციაში გაწევრიანდა 1992 წლის იანვარში და მასთან თანამშრომლობს ე.წ. „საგარეო საქმეთა სამინისტრო“ (Ennals, Farrar, Scholtbach, Maell, Praag, Hille, 1992, გვ. 21) . ამავე ორგანიზაციის საიტზე განთავსებულია ბროშურა, რომელშიც წარმოდგენილია ინფორმაცია აფხაზეთის, როგორც ორგანიზაციის წევრის შესახებ (MEMBER PROFILE OF ABKHAZIA 2012: https://unpo.org/members/7854).

აღნიშნული ორგანიზაციის სადამკვირვებლო მისიები სამჯერ იმყოფებდნენ საქართველოში. პირველად 1992 წლის ივლისში, აფხაზეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, ვლადისლავ არძინბას თხოვნით ეწვია ამავე ორგანიზაციის გენერალური მდივანი მიხაელ ვან ვულტ ვან პრააგი, ხოლო ნოემბერში კი უკვე სადამკვირვებლო კომისია ჩამოვიდა.

გვაქვს ორი მოხსენებითი ანგარიში: ერთი უშუალოდ 1992 წლის ნოემბრის მისიის შესახებ, რომელშიც განხილულია ივლისისა და ნოემბრის ვიზიტები (Ennals, Farrar, Scholtbach, Maell, Praag, Hille, 1992:) აღნიშნული მოხსენება მოგვიანებით დამატებითი დოკუმენტების გარეშე გამოქვეყნდა კრებულში “Central Asian Survey” (Overeem 1995: 127-154), და მეორე 1993 წლის მისიის, რომელიც შემაჯამებელი და საბოლოო დოკუმენტია (Ennals, Farrar, Scholtbach, Maell, Praag, Hille 1993; Overeem 1993, გვ. 325-345)

1992 წლის ნოემბერში შეხვდნენ დაპირისპირებულ მხარეებს და მოამზადეს შესაბამისი ანგარიშები, რომლებიც ცალმხრივია და, ფაქტობრივად, აღნიშნულ დაპირისპირებაში ბრალს სდებენ ქართულ მხარეს. ჩვენ გავეცანით ორივე დასკვნას - პირველია „UNPO-ს მისიის მოხსენება, აფხაზეთში, საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიაში“ და მეორეა ვიზიტი 1992 წლის ნოემბერში „UNPO-ს ადამიანის უფლებათა საკოორდინაციო მისიის მოხსენება, აფხაზეთსა და საქართველოში“. აღნიშნულ დოკუმენტში შეჯამებულია პირველი ვიზიტის შედეგები, ასევე ომის მიმდინარეობა და ომის დასრულების შემდეგ განვითარებული პროცესები.

აფხაზ სეპარატისტთა ლიდერი ვლადისლავ არძინბა ბრალს დებდა გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს საქართველოსადმი მიკერძოებაში და აღნიშნავდა, რომ *„იმ რთულ დროს, როდესაც ინფორმაციული იზოლაციის პირობებში, უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ნამდვილი ინფორმაციის გავრცელება აფხაზეთში მიმდინარე პროცესებზე... მე მივმართე არწარმოდგენილი ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს“* (Ардзинба, 2018, გვ. 262).

1992 წლის 15 მაისით დათარიღებულ წერილში ვლადისლავ არძინბა ბრალს სდებს ქართულ მხარეს და ადანაშაულებს აფხაზების მიმართ დისკრიმინაციულ პოლიტიკაში და მდგომარეობის გამწვავებაში:

„ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ახორციელებს დისკრიმინაციულ პოლიტიკას აფხაზი ხალხის მიმართ. აფხაზი ხალხი სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ ქართველი ლიდერების მხრიდან ძალადობრივი წინააღმდეგობა ხვდება. მიმდინარეობს ანტიაფხაზური ისტერია და ბრალდებები აფხაზეთის რესპუბლიკისა და მისი პარლამენტის ლიდერების წინააღმდეგ. ასევე არის მცდელობა რესპუბლიკაში პარალელური მართვის და აღმასრულებელი ორგანოების შექმნისა (სავარაუდოდ გულისხმობს ეროვნული ერთიანობის საბჭოს-გ.ბ). იქმნება შეიარაღებული ფორმირებები (იგულისხმება სოხუმის მექანიზებული ბატალიონი - გ.ბ) და ისინი ღიად აცხადებენ რომ აფხაზეთის მმართველობას შეცვლა სურთ. აფხაზეთის უზენაესი საბჭო მოგმართავთ გადაუდებელი ზომების მისაღებად საქართველოს რესპუბლიკის მიერ აფხაზი ხალხის წინააღმდეგ ძალის გამოყენების თავიდან ასაცილებლად და ითხოვს იყოთ შუამავალი ქართულ-აფხაზური წინააღმდეგობის მშვიდობიანი გზით მოგვარების საქმეში“ (Ennals, Farrar, Scholtbach… 1992, გვ. 30).

აღნიშნული მიმართვის შემდეგ იმავე 1992 წლის ივლისის დასაწყისში სოხუმში ჩავიდა UNPO-ს გენერალური მდივანი მიხაელ ვან ვოლტ ვან პრააგი, რომელიც შეხვდა როგორც აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ვლადისლავ არძინბას, ასევე უმაღლესი საბჭოს აფხაზ და ქართველ წევრებსა და ადგილობრივ მოსახლეობას (Ennals, Farrar, Scholtbach…1992, გვ. 31).

ვიზიტის შემდეგ, 14 ივლისს, მან საქართველოს სახელმწიფო საბჭოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძესა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერს ვლადისლავ არძინბას გამოუგზავნა წერილები, რომლებშიც მან შეაჯამა აფხაზეთში ვიზიტის შედეგები, არსებული ვითარება და განიხილა კონფლიქტის დარეგულირების გზები, წერილები შინაარსით იყო იდენტური . პრააგი მიმოიხილავს შექმნილ სიტუაციას და აღნიშნავს, რომ ვინაიდან

საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და აფხაზეთის მთავრობას შორის ურთიერთობა მინიმუმამდეა დასული, შეიძლება ამან გამოიწვიოს: *„კონფლიქტის გაღრმავება, რომელსაც მოჰყვება მდგომარეობის ზედმეტად გამწვავება და შედეგად მივიღებთ ისეთი კონფლიქტს როგორიც გვაქვს სამხრეთ ოსეთში“* (Ennals, Farrar, Scholtbach… 1992, გვ. 31) ამავე წერილში მიმოიხილავს თითოეული სუბიექტის როლს UNPO-ს ორგანიზაციაში, საქართველოს როგორც დამფუძნებელი წევრის და რომ მათთან თანამშრომლობდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. აქვე შენიშნავს: *„აფხაზეთი იმიტომ კი გაწევრიანდა ორგანიზაციაში რომ საქართველოს ან ქართველი ხალხის წინააღმდეგი ჰქონდათ რაიმე. პირიქით სწორედ ქართველებმა გააცნეს და წარუდგინეს, გაუწიეს რეკომენდაცია აფხაზეთს რომ გამხდარიყო UNPO წევრი“*(Ennals, Farrar, Scholtbach… 1992:32) . ავტორი აღნიშნავს იმასაც, რომ აფხაზეთში ყოფნის დროს ის შეხვდა, ერთი მხრივ, უმაღლესი საბჭოს აფხაზ, რუს და სომეხ დეპუტატებს და მეორე მხრივ: *„ქართველებს, რომლებმაც დატოვეს უმაღლესი საბჭოს შენობა და ცალკე ატარებდნენ სხდომებს. მათ თქვენგან განსხვავებული (მიმართავს ვლადისლავ არძინბას -გ.ბ) სრულიად სხვა პოზიციები აქვთ და როგორც ჩანს მოქმედებენ თბილისის ხელისუფლების შეხედულებებით“* (Ennals, Farrar, Scholtbach… 199, გვ. 32). ორივე მხარის პოზიციების გაცნობისა და შეჯერების შემდეგ ასკვნის, რომ *„ყველა თანხმდება, რომ თუ არ გადაიჭრება პრობლემა და არ მოიძებნება შესაბამისი გადაწყვეტილება დაიწყება საომარი დაპირისპირება“* (Ennals, Farrar, Scholtbach… 1992, გვ. 33). აქვე აღნიშნავს იმასაც, რომ ორივე მხარეს ძირითადად ისტორიული არგუმენტები მოჰყავთ და, მისი შეფასებით, როგორიც არ უნდა იყოს *„ისტორიული არგუმენტების მართებულობა, ის არ უნდა იყოს გამოყენებული პრინციპული საკითხების გადაჭრის საქმეში“* (Ennals, Farrar, Scholtbach… 1993, გვ. 33). პრააგი მოუწოდებს როგორც ცენტრალურ ხელისუფლებას, ასევე აფხაზეთში მთავრობას, რომ გაინაწილონ პასუხისმგებლობა: მმართველობის, ეკონომიკისა და კულტურის სფეროში. აქვე აღნიშნავს, რომ საქართველოში გართულებული ვითარება, კავკასიაში არსებული სხვა კონფლიქტების ფონზე, კიდევ უფრო დიდი გამოწვევების წინაშე დგას და „მე ასევე დარწმუნებული ვარ, რომ თუ ჩაერთვება სამხედრო ძალები ურთიერთპრეტენზიების დაკმაყოფილებისათვის ბრძოლაში გამოსავლის პოვნა და მოგვარება ძალიან რთული იქნება და სიტუაცია დრამატულად შეიცვლება“(Ennals, Farrar, Scholtbach… 1992, გვ. 34). მხარეთა შორის შეთანხმების მისაღწევად კონფლიქტის დასარეგულირებლად პრააგი სთავაზობდა ლიდერებს ჰააგაში ან სხვა რომელიმე ქალაქში შეხვედრასა და მსჯელობას.

1992 წლის 14 აგვისტოს საქართველოს ხელისუფლებამ აფხაზეთის რეგიონში ჯარები შეიყვანა. „აფხაზეთის დემოკრატიული პარტიის“ თავმჯდომარე გურამ გუმბა, ჩეჩნეთის რესპუბლიკის ორ წარმომადგენელთან ერთად გაემგზავრა ევროპაში, მას ჰქონდა შეხვედრები ჟენევასა და ნიდერლანდებში და მოითხოვდა სპეციალური მისიების გამოგზავნას აფხაზეთში არსებული ვითარების გასაცნობად. იმავე წლის 11 სექტემბერს ვლადისლავ არძინბამ გაუგზავნა ფაქსი გაეროს გენერალურ მდივანსა და UNPO-ს ხელმძღვანელს და ასევე მოითხოვა სადამკვირვებლო მისიების გამოგზავნა აფხაზეთში (Ennals, Farrar, Scholtbach… 1992, გვ. 35). გაეროს გენერალური მდივნის, ბუტროს ბუტროს-გალისადმი გაგზავნილ წერილში, რა თქმა უნდა, ბრალს სდებს ქართულ მხარეს და აღნიშნავს, რომ *„ქართულ მხარეს არც უცდია იმის უარყოფა რომ ამ საომარი მოქმედების მთავარი მიზანი იყო აფხაზეთის ეროვნული მოძრაობის ლიკვიდაცია და ხელისუფლების ლეგიტიმური ორგანოების გაუქმება და ისეთი*

რეჟიმის დამყარება, რომელიც საქართველოსთვის იქნებოდა მისაღები" (Ennals, Farrar, Scholtbach… 1992,. გვ. 40) აქვე ქართულ მხარეს ადანაშაულებს 1992 წლის 3 სექტემბრის სამშვიდობო ხელშეკრულების დარღვევასა და აფხაზთა გენოციდში: *„სამწუხაროდ, ქართული მხარე არ დაემორჩილა შეთანხმებას და სისხლისღვრა გრძელდება. აფხაზეთში დამყარდა მკაცრი საოკუპაციო რეჟიმი ქართული ძალების მიერ. ხშირია ძარცვა, მკვლელობა, გაუპატიურება, ყაჩაღობა. აფხაზეთში კულტურული ძეგლებისა და სოფლების განადგურებამ მიიღო გენოციდის სახე. მოგმართავთ თხოვნით, მოგვაპყროთ ყურადღება მსოფლიო საზოგადოებისა ჩვენს რესპუბლიკაში არსებულ ტრაგიკულ ვითარებაზე და გთხოვთ ყველა ღონეს მიმართოთ რომ შეაჩეროთ სისხლისღვრა აფხაზეთის მიწაზე და გამოძიებულ იქნას აღნიშნული ფაქტები"* (Ennals, Farrar, Scholtbach… 1992, გვ. 40). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 16 სექტემბერს თბილისიდან სპეციალური რეისით სოხუმში ჩავიდა გაეროს მისია, რომლის ვიზიტიც შეთანხმდა ედუარდ შევარდნაძესა და ბუტროს ბუტროს-გალს შორის სატელეფონო საუბრის დროს, მისიის მიზანი იყო *„შეისწავლონ ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილი ვითარება და ხელი შეუწყონ კონფლიქტის მოწესრიგებას"* (საქართველოს რესპუბლიკა 1992, გვ. 1; From The Secretary-General Addressed To… 1992, გვ. 1-6)

1991 წლის 31 ოქტომბერი - 8 ნოემბერს UNPO-ს მომდევნო მისია ჩავიდა აფხაზეთში. მასში შედიოდნენ: ბრიტანეთის პარლამენტის წევრი, მისი უდიდებულესობის საიდუმლო საბჭოს წევრი, ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი, ლეიბორისტული პარტიიდან - ლორდი დევიდ ენალსი; მარგარეტ ფერარი, ამერიკელი კონგრესმენის, ტომ ლანტოსის სპეციალური თანაშემწე ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის საგარეო საქმეთა ქვეკომიტეტის ვიცე-თავმჯდომარე და კონგრესის ადამიანის უფლებათა დაცვის ჯგუფის თანათავმჯდომარე; ალვარო შოლტბახი, ნიდერლანდების პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის აპარატიდან და ამავე პარლამენტში ლეიბორისტული ფრაქციის წევრი; პროფესორი ლინარტ მაელი ესტონეთიდან, ტარტუს უნივერსიტეტის დოქტორი. ესტონეთის დამოუკიდებლობის პარტიის ვიცე-თავმჯდომარე და UNPO-ს ასამბლეის ვიცე თავმჯდომარე და ამავე ორგანიზაციის ტარტუს ფილიალის დირექტორი და ბოლოს ზემოთ უკვე ნახსენები UNPO-ს გენერალური მდივანი და იურისტი მიხაელ ვან ვულტ ვან პრააგი (Ennals, Farrar, Scholtbach… 1992, გვ. 6)

მისიის ფარგლებში ისინი შეხვდნენ: სეპარატისტთა ლიდერს ვლადისლავ არძინბას, ედუარდ შევარდნაძეს, საქართველოს დევნილ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას და ჩეჩნეთის პრეზიდენტ ჯოჰარ დუდაევს. ასევე ოფიციალურ პირებს გუდაუთაში, გაგრაში, სოხუმსა და თბილისში (Ennals, Farrar, Scholtbach… 1992, გვ. 6) .

ვიდრე მისიის კონკრეტულ შეხვედრებსა და ნაბიჯებს განვიხილავთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მათ მიერ მომზადებული დასკვნა გამოირჩევა განსაკუთრებული მიკერძოებით და ანტიქართული ხასიათით და აფხაზეთში განვითარებულ პროცესებში, როგორც ომის, ისე ომისწინა პერიოდში დადანაშაულებულია ქართული მხარე. მაგალითისთვის შემაჯამებელ დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ:

„დელეგაციამ შეაგროვა ქართველების მხრიდან მუდმივი სისასტიკის მნიშვნელოვანი მტკიცებულებები, როგორც აფხაზების, ასევე სხვა არაქართველების მიმართ, რაც დელეგაციის

აზრით, არ შეიძლება მხოლოდ შეიარაღებულ ძალებში დისციპლინის ნაკლებობას მიეწეროს. ქართველი სამხედროებისა და მხარდამჭერების მიერ განხორციელდა აფხაზების სახლებისა და მათი კულტურული დაწესებულებების მასობრივი ძარცვა და წგრევა. დელეგაცია გაესაუბრა ქართველი ჯარისკაცების მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის, მათ შორის ორსული ქალებისა და ბავშვების წამების, ცემისა და მკვლელობის მსხვერპლი ქართველი ჯარისკაცებს მიერ ჩადენილი სისასტიკის შესახებ. ბრალდებები დაადასტურეს პასუხისმგებელმა ქართველმა ოფიციალურმა პირებმა. დელეგაციამ აღმოაჩინა აფხაზების მიერ განადგურების მტკიცებულებები, გაგრაში, სადაც მათ ბევრი სახლი გადაწვეს ოქტომბერში, ქალაქის აღების შემდეგ. თუმცა არ დასტურდება მათი მხრიდან ჩადენილი მასობრივი მკვლელობები, რომელთაც ქართული პრესა იტყობინება. ქართველთა მხრიდან აღნიშნული ბრალდებები არის პროპაგანდა“(Ennals, Farrar, Scholtbach… 1992, გვ. 23-24)

აღნიშნული ორგანიზაციის დასკვნა ერთგვარად იმეორებს ვლადისლავ არძინბას ბრალდებებს საერთაშორისო საზოგადოების მიმართ, რომ *„გაეროსა და ეუთოს საგამოძიებო ჯგუფების მიერ გამოკვლევათა სერია არასაკმარისი იყო და საჭიროა აფხაზეთს მეტი ყურადღება მიექცეს“*.(Ennals, Farrar, Scholtbach… 1992, გვ. 23)

ადამიანის უფლებათა დარღვევისა და კულტურული მემკვიდრეობის განადგურების ფაქტების შესახებ:

წარმოდგენილი მოხსენება გამოირჩევა ანტიქართული ხასიათით. მაგალითად, აფხაზეთის ისტორიული წარსულის მომიხილვის დროს არსად გვხვდება მითითება, რომ ის საქართველოს ისტორიული რეგიონია. ფაქტობრივად, 1931 წლამდე განხილულია, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი, რომელიც საკუთარი ნებით შეუერთდა ჯერ რუსეთის იმპერიას და შემდეგ საბჭოთა რუსეთს. *„ხოლო 1931 წელს სტალინის აღზევების შედეგად მან დაკარგა ერთგვარი დამოუკიდებლობა და შეურთდა საქართველოს ავტონომიური სტატუსით და აქ დაიწყო აფხაზთა ჩაგვრა და შევიწროვება“* (Ennals, Farrar, Scholtbach… 1993, გვ. 331) ამავე მიმართულებით გრძელდება ბრალდებები ქართველთა მიმართ ომის დაწყების ჩათვლით. დასკვნების მიკერძოებულობა გამოწვეულია იმითაც, რომ ფაქტობრივად არ არის გამოკვეთილი ქართველთა პოზიციები და არგუმენტები. აფხაზების მიმართ ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკის მაგალითად მოყვანილია ეროვნებით აფხაზი ექიმების ჩვენებები და არ გამოიკითხნენ ქართველი ექიმები.

ასევე, გაგრის რაიონში განვითარებული საბრძოლო მოქმედებების განხილვის დროს, ფაქტობრივად, მხოლოდ ქართული მხარის საწინააღმდეგო პოზიციებია გამოკვეთილი. მაგალითად, აღნიშნულია, რომ *„გაგრის რაიონში ქართველი ჯარისკაცების მხრიდან განხორციელებული სასტიკი ქმედებები გამოწვეული იყო არა მხოლოდ მათი „უკონტროლო ქმედებებით“, არამედ ის წახალისებული იყო საქართველოს ხელისუფლების მხრიდან. ისინი შედიოდნენ აფხაზებისა და სხვა არაქართველების სახლებში, წვავდნენ, ძარცვავდნენ, აუპატიურებდნენ და კლავდნენ მოსახლეობას და დადასტურებულია, რომ მათ ჰქონდათ სპეციალური სიები და მისამართები მსხვერპლთა შესახებ“*(Ennals, Farrar, Scholtbach… 1993, გვ. 338). მაშინ, როდესაც აფხაზთა მხრიდან მხოლოდ რამდენიმე სახლის დაწვაზეა საუბარი.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ისინი შეხვდნენ აფხაზური ინტელიგენციის წარმომადგენლებს (არ არის დაკონკრეტებული ვის-გ.ბ) და მათ ქართულ მხარეს ბრალი დასდეს აფხაზეთის უნივერსიტეტის შეგნებულ დაზიანებაში, ასევე აფხაზური პრესისა და სტამბების, სკოლების, ინსტიტუტების, მუზეუმებისა და აფხაზეთის ეროვნული არქივების შეგნებულ განადგურებაში (Ennals, Farrar, Scholtbach… 1993, გვ. 340)

UNPO-ს პირველ მოხსენებაში მხოლოდ ერთი აბზაცი აქვს დათმობილი აფხაზური მხარის მიერ ჩადენილ ომის დანაშაულებს:

„დელეგაციამ დაადგინა, რომ აფხაზებმა და მათმა მოკავშირე ძალებმა გამოიჩინეს სისასტიკე ქართული მოსახლეობის მიმართ, დაირღვა ადამიანთა უფლებები. თუმცა ეს ქმედებები არ იყო სისტემური ხასიათის და მას არ მიუღწევია იმ მასშტაბებისა და სისასტიკისათვის, როგორც, ამას ადგილი ჰქონდა ქართული მხარიდან. ასევე აფხაზური მხარე აქტიურ ნაბიჯებს დგამს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების გამოსაძიებლად და დამნაშავეთა დასასჯელად. როგორც ქართველმა ტყვე სამხედროებმა განაცხადეს, მათ კარგად ეპყრობა აფხაზეთის ხელისუფლება. ისინი კარგ პირობებში არიან და იღებენ შესაბამისი რაციონის საკვებს და კარგი ურთიერთობა აქვთ აფხაზ ჯარისკაცებთან“ (Ennals, Farrar, Scholtbach… 1993, გვ. 340) .

ხოლო მეორე და საბოლოო ანგარიშში ასევე ერთი აბზაცითაა წარმოდგენილი აფხაზური მხარის დანაშაულები:

„ომის დროის აფხაზეთის ხელისუფლების (იგულისხმება სეპარატისტული ხელისუფლება - გ.ბ) კონტროლირებად ტერიტორიებზე, არსებობდა ანტიქართული ძალადობის მტკიცებულებები, მათ შორის სასამართლოს გარეშე სიკვდილით დასჯა, სახლები და ქონების გადაწვა და ძარცვა.. განსაკუთრებით 1992 წლის ოქტომბერში აფხაზეთის ჯარების მიერ გაგრის აღების შემდეგ. ომის ბოლო ეტაპები, როდესაც აფხაზურმა ძალებმა, ჩრდილოკავკასიელთა საბრძოლო შენაერთების მხარდაჭერით, დაიბრუნეს სოხუმი და აფხაზეთის დარჩენილი ტერიტორია მდინარე ენგურამდე. არსებობს მტკიცებულება სერიოზული დარღვევების შესახებ. მათ დაარღვიეს ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი სოხუმში შესვლისას უამრავი ადამიანი მოკლეს. თუმცა ქართველთა უმეტესობას უკვე დატოვებული ჰქონდა აფხაზეთის ტერიტორია“ (Ennals, Farrar, Scholtbach… 1992, გვ. 13)

აქვე იმოწმებენ სეპარატისტთა ერთ-ერთი იდეოლოგისა და ანტიქართულად განწყობილი პოლიტიკოსის, იური ვორონოვის, მიერ მიწოდებული ინფორმაციას, რომლის მიხედვით, 1992 წლის აგვისტოდან 1993 წლის სექტემბრამდე აფხაზეთის ხელისუფლება აკონტროლებდა ტერიტორიის ნაწილს, მთავრობის ადგილი გუდაუთაში იყო. ზოგადად, პოლიცია არ არსებობდა და მათ ფუნქციებს აფხაზური ჯარი ასრულებდა. სამხედრო ტრიბუნალებმა იკისრეს სამოქალაქო სასამართლოების ფუნქციები. კანონი არ ცნობდა განსხვავებას ქართველ და აფხაზ მოქალაქეებს შორის. საქართველოს კანონმდებლობა, რომელიც აფხაზეთში იყო გამოყენებული, არ ითვალისწინებდა სიკვდილით დასჯის

დებულებებს. ომის დროს აფხაზეთის ხელისუფლებამ სიკვდილით დასჯა შემოიღო. ასევე, იური ვორონოვის განცხადებით, ომის დროს აფხაზურ სასამართლოს არც ერთი სასიკვდილო განაჩენი არ გამოუტანია და არც აღსრულებულა(Ennals, Farrar, Scholtbach… 1992, გვ. 329).

UNPO-ს პირველი მისიის შემაჯამებელ დოკუმენტში წარმოდგენილია კონფლიქტის დარეგულირებისაკენ მიმართული შემდეგი რეკომენდაციები: აუცილებელია, რაც შეიძლება მალე შეიქმნას და დამტკიცდეს ახალი ინიციატივა, რომელიც უზრუნველყოფს აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტას. ეს ინიციატივა შეიძლება დაფუძნდეს მესამე მხარის ან მხარეების აქტიურ შუამავლობაზე, რომელთაც ორივე მხარე ენდობა. ცეცხლის შეწყვეტის მიღებას უნდა მოჰყვეს: სერიოზული მოლაპარაკებები ქართული ჯარებისა და ჩრდილოკავკასიელ მოხალისეთა აფხაზეთიდან გაყვანაზე; ასევე ნდობის აღდგენის ღონისძიებების დამყარება და აფხაზეთის სამომავლო სტატუსის განსაზღვრა. აფხაზეთის სამომავლო სტატუსსა და საქართველოსთან ურთიერთობებზე მიღებულ ნებისმიერ შეთანხმებას უნდა ჰქონდეს ეფექტური და გრძელვადიანი გარანტიები მისი განხორციელებისთვის. (Ennals, Farrar, Scholtbach… 1993, გვ. 24) .

1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმის დაცემას ათასობით ქართველის სიცოცხლე ემსხვერპლა, ხოლო 250000-მდე კი დევნილად იქცა. UNPO-ში გადაწყდა, რომ საქართველოში გაეგზავნათ კიდევ ერთი მისია, რომელიც ადგილზე გაეცნობოდა არსებულ ვითარებას (Ennals, Farrar, Scholtbach… 1993, გვ.4) . მისია მიმდინარეობდა 1993 წლის 29 ნოემბრიდან 10 დეკემბერის ჩათვლით. მასში მონაწილეობდნენ: მიხაელ ვან ვულტ ვან პრააგი- UNPO-ს გენერალური მდივანი, პაულინ ოვერეემი- UNPO-ს წარმომადგენელი, მენელაოს ცელიოსი - გაეროს გენერალური მდივნის თანაშემწე. აღნიშნული პიროვნება წარმოადგენდა ორგანიზაციას, “THE INTERNATIONAL FEDERATION FOR THE PROTECTION OF THE RIGHTS OF ETHNIC, RELIGIOUS, LINGUISTIC AND OTHER MINORITIES”, (ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი და სხვა უმცირესობების უფლებების დაცვის საერთაშორისო ფედერაცია). ამავე მისიაში როგორც გაეროს ჟენევის ოფისისის წარმომადგენელი მონაწილეობდა ჰრაირ ბალიანი, ის ასევე წარმოადგენდა ორ საერთაშორისო ორგანიზაციას Human Rights Advocates (HRA) (ადამიანის უფლებათა დაცვა) და COVCAS CENTER FOR LAW AND CONFLICT RESOLUTION (კავკასიის სამართლისა და კონფლიქტების მოგვარების ცენტრი) და Pax Christi Netherlands-ის წარმოამდგენელი ეგბერტ ვესელინკი.

მისიას ჰქონდა შემდეგი მარშრუტი: მოსკოვში, გაგრა, გუდაუთა, სოხუმი, ოჩამჩირე, ტყვარჩელი, ლაბრა, კონსტანტინოვკა, აძვიჟბა და თბილისი.

ქართული მხარე აფხაზ სეპარატისტებსა და მათ მომხრეებს ბრალს დებდა „ეთნიკური წმენდის“ განხორციელებაში. როგორც აღნიშნული მისიის ანგარიშში წერია: *„ეთნიკური წმენდის პოლიტიკის გატარების დამაჯერებელი მტკიცებულები ვერ დადგინდა”* (Ennals, Farrar, Scholtbach… 1993, გვ.3)

მაშინ როდესაც გაეროს, ეუთოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან აღიარებულია ქართველთა „ეთნიკური წმენდა“ აფხაზეთის რეგიონში. მაგალითად გაეროს

1993 წლის 19 ოქტომბრის რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ *„ორგანიზაცია ღრმად შეშფოთებულია რეგიონში კონფლიქტით გამოწვეული ადამიანური ტანჯვით და ეთნიკური წმენდისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის და სხვათა სერიოზული დარღვევების შესახებ“* (Resolution 876 (1993): გვ.2-3). გაერომ მიიღო და გაიზიარა საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის პეტრე ჩხეიძის მოხსენება უშიშროების საბჭოსადმი, რომელიც სწორედ აღნიშნულ საკითხს ეხებოდა (Georgia State Committee for Investigation 1994, გვ.18) .

ამავე საკითხს ეხება, ეუთოს 1994 წლის 2-3 დეკემბრის ბუდაპეშტის კონფერენციის დაგდენილება, რომელშიც აღნიშნულია, რომ „გამოხატეს შეშფოთება *„ეთნიკური წმენდისა“ და მოსახლეობის მასობრივი გამოძევების გამო, რომელთა ძირითად ნაწილი ქართველები იყვნენ. ისინი გამოაძევეს საკუთარი საცხოვრებლიდან ასევე დაიღუპა უამრავი მშვიდობიანი მოქალაქე“*(CSCE- Budapest Document**.** 1994:34)

აფხაზეთში ქართველთა „ეთნიკური წმენდა“ დაგმობილია ეუთოს 1996 წლის 3 დეკემბრის ლისაბონის სამიტის დეკლარაციაშიც: *„ჩვენ (ეუთოს მონაწილე სახელმწიფოები -გ.ბ) ვგმობთ „ეთნიკურ წმენდას“ აფხაზეთში, რომელიც გამოიხატა ძირითადად ქართველი მოსახლეობის მასობრივი გადადგურებითა და იძულებითი გაძევებით“*(Fifth OSCE Summit... 1996, გვ. 8)

საბრძოლო მოქმედებებს ახლავს სამხედრო პირების დატყვევებაც, რომელთაც ჟენევის სპეციალური კონვენცია იცავს (ჟენევის 1949 წლის, გვ. 2008) ფაქტობრივად, საომარი მოქმედებების პირველივე დღიდან აფხაზეთში 1992-1993 წლებში მიმდინარე ომის დროს დაპირისპირებული მხარეები ატყვევებდნენ მოწინააღმდეგის ჯარისკაცებს. სამხედრო ტყვეები პერიოდულად იცვლებოდა (ყარყარაშვილი 2025, გვ. 291-292: სანაია 1992, გვ. 3).

UNPO-ს სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიშში, ცალკე პარაგრაფი აქვს დათმობილი სამხედრო ტყვეთა საკითხს, რომელშიც კვლავ ქართული მხარის მიმართ არის ბრალდებები და ძირითადად აფხაზური მხარის ინტერესებია წარმოდგენილი. მაგალითისთვის აღნიშნულია, რომ ქართველებმა დახვრიტეს აფხაზი ტყვეები და *„საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად გარდაცვლილთა ნათესავებს გამოსასყიდს ახდევინებდნენ დაღუპული ნათესავის ცხედრის მისაღებად“* (Ennals, Farrar, Scholtbach… 1993, გვ. 13). ქართველთა მიერ აფხაზი ტყვეების არასათანადო მოპყრობის მაგალითად მოჰყავთ ცნობა, რომ *„1993 წლის მარტში სამხედრო ტყვეთა გაცვლის წინ. ქართველებმა 20 აფხაზი ტყვე მოკლეს ამის საფუძველს იძლევა აფხაზი ექიმების მომზადებული დასკვნა”* (Ennals, Farrar, Scholtbach… 1993, გვ. 13) აქვე აღნიშნულია, რომ ორივე მხრიდან ხშირი იყო მშვიდობიანი მოსახლეობის ტყვედ აყვანა, სამხედროებზე გასაცვლელად.

აფხაზეთის რეგიონში ომის მიმდინარეობისა და დასრულების შემდეგ ასიათასობით მოქალაქე დევნილად იქცა. მათ შორის 250000 ათასამდე ეთნიკური ქართველი. UNPO-ს ანგარიშში დევნილთა საკითხი საკმაოდ მშრალად არის წარმოდგენილი და ძირითადად სტატისტიკური ხასიათი აქვს. მაგალითად, ბერძნული და ებრაული მოსახლეობის მიერ რეგიონის დატოვების მიზეზად დასახელებული აქვთ ქართული ჯარის მიერ შევიწროება და ომის შემდეგ შექმნილი მძიმე ეკონომიკური და კრიმინალური მდგომარეობა (Ennals, Farrar, Scholtbach… 1993, გვ. 16)

ქართული მხარისადმი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულების საილუსტრაციოდ გვინდა UNPO-ს ზემოთ აღნიშნული მისიის მონაწილეებთან, ლინარტ მაელსთან და დევიდ ენალსთან, დაკავშირებული მაგალითები მოვიხმოთ.

სადამკვირვებლო მისიის ბოლო შეხვედრა გაიმართა ჩეჩნეთის დედაქალაქ გროზნოში. ამ დროს მიმდინარეობდა ჩრდილოეთ ოსეთსა და ინგუშეთს შორის დაპირისპირება პრიგოროდნის რაიონის გამო და ჩეჩნეთის ლიდერი ჯოჰარ დუდაევი ცდილობდა კონფლიქტის მოგვარებას. უნდა აღინიშნოს, რომ UNPO-ს აფხაზეთში მოწვევის ერთ-ერთი ინიციატორი იყო ჩეჩნეთის ლიდერიც, რომელსაც მისიის ერთ-ერთ წევრთან, ესტონელ ლინარტ მაელთან, პირადი მეგობრობაც აკავშირებდა, ჯერ კიდევ იმ დროიდან როდესაც ჯოჰარ დუდაევი: *„ტარტუში (ესტონეთში-გ.ბ) მძიმე ბომბდამშენი დივიზიის მეთაური იყო“* (Jürgenson, 2022, გვ.33) ამავე ქალაქში ცხოვრობდა ლინარტ მაელი და იქ არსებულ უნივერსიტეტში ასწავლიდა. ტარტუში დააფუძნა მან UNPO-ს საკოორდინაციო ოფისიც, რომელიც აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ სსრ კავშირის ტერიტორიაზე არსებულ ეთნოკონფლიქტებს იკვლევდა. როგორც ესტონელი მკვლევარი აივან იურგენსონი აღნიშნავს, ლინარტ მაელი, კარგი ურთიერთობა ჰქონდა აფხაზეთისა და ჩეჩნეთის ლიდერებთან.

ხოლო მისი დამოკიდებულება ედუარდ შევარდნაძისადმი მკვეთრად უარყოფითი იყო, რამაც თავის მხრივ, შესაძლოა გავლენა იქონია მის მიერ მომზადებულ დასკვნებზე: *„საქართველოს ლიდერს ედუარდ შევარდნაძეს დაუფარავი ზიზღით იხსენიებდა, რაც ალბათ ხელს უშლიდა UNPO-ს მისიის დროს ყოფილიყო ობიექტური, ასევე ერთ-ერთ ინტერვიუში მაელი შევარდნაძეს მოიხსენიებს, როგორც თეთრ მელას“*(Jürgenson, 2022:34). ხოლო ესტონურ გაზეთ „პოსტიმესთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ *„მე ეჭვი არ მეპარება, რომ ომი შევარდნაძის მარცხით დასრულდება, რაც გამოიწვევს კავკასიის განთავისუფლებას“* (Jürgenson, 2022, გვ. 28). ლინარტ მაელის ედუარდ შევარდნაძისადმი მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას მისი წარსულით ხსნის მკვლევარი აივარ იურგენსონი. რადგან მაელისათვის ედუარდ შევარდნაძე, კომუნისტურ რეჟიმთან ასოცირდებოდა, რომელსაც ის თვითონ ებრძოდა.

აღსანიშნავია, რომ ლინარტ მაელი 1992 წლის აგვისტოშიც იმყოფებოდა ჩეჩნეთში, სადაც ის ჩრდილოეთ ოსეთსა და ინგუშებს შორის დაპირისპირების შესწავლის გარდა, მუშაობდა უკვე დაწყებულ ქართულ-აფხაზურ კონფლიქტზეც. ჯოჰარ დუდაევი ცდილობდა *„შუამავლობას, რომ მაელი შეხვედროდა საქართველოს ლიდერს ედუარდ შევარდნაძეს. თუმცა შევარდნაძემ უგულებელყო დუდაევის შუამავლობის მცდელობა და უარი განაცხადა მაელთან შეხვედრაზე, რადგან ვერ აძლევდა უსაფრთხოების გარანტიას ვერტმფრენით საქართველოში გამოფრენის შემთხვევაში“* (Jürgenson, 2022, გვ. 29)

ხოლო უკვე შემოდგომას UNPO-ს დელეგაციასთან ერთად საქართველოში მისი ვიზიტი და ქართულ მხარესთან შეხვედრას ორგანიზება გაუწია ჩეჩნეთის ვიცე-პრეზიდენტმა ზელიმხან იანდარბიევმა. UNPO-ს დელეგაციის ჩეჩნეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრას ესწრებოდა დევნილი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიაც (Jürgenson, 2022, გვ. 5)

ამავე მკვლევრის ცნობით, ლინარტ მაელს ასევე კარგი ურთიერთობა ჰქონდა აფხაზი სეპარატისტების ლიდერთან ვლადისლავ არძინბასთან (Jürgenson, 2022, გვ. 33), მათ ერთმანეთი გაიცნეს მოსკოვში, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, სადაც მაელი აღმოსავლურ რელიგიებს, კონრეტულად კი ბუდიზმს სწავლობდა, ხოლო არძინბა ხათის კულტურას იკვლევდა, სადისერტაციო ნაშრომისათვის.

ლინარტ მაელი აფხაზეთის აქტიურ მხარდაჭერას გამოხატავდა როგორც ესტონეთში, ასევე საერთაშორისო ფორუმებზე. ხოლო მოგვიანებით საერთოდ მოუწოდა ესტონეთის ხელისუფლებას აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებისაკენ, თუმცა ესტონეთის პარლამენტმა არ განიხილა მისი ეს ინიციატივა (Jürgenson 2022:31-32). ლინაერტ მაელის გარდაცვალების შემდეგ აფხაზური მხარის მხარდამჭერი მოწოდებებით გამოდიოდა მისი ქალიშვილიც, მაია მაელიც.

ასევე მნიშვნელოვანია განვიხილოთ ლორდ დევიდ ენალსის პიროვნებასთან დაკავშირებული რამდენიმე ფაქტი. 1992 წლის 9 ნოემბერს, საქართველოში UNPO-ს მისიის დასრულებიდან მეორე დღეს, ბრიტანულ ჟურნალში, Newcastle Journal-ში დევიდ ენალსის ინტერვიუს მიხედვით გამოქვეყნდა პუბლიკაცია სათაურით „ყოფილი მინისტრის განცხადებით ქართული ჯარები დამნაშავეა სისასტიკეში“ (Georgian troops guilty, 1992, გვ. 10) სადაც ის მკაცრად აკრიტიკებს ქართულ მხარეს. როგორც სტატიაშია აღნიშნული, ლორდ ენალსმა, რომელიც *„ერთკვირიანი მოგზაურობიდან დაბრუნდა საქართველოს სეპარატისტული რეგიონიდან, სხვა უცხოელ მკვლევრებთან ერთად, განაცხადა, რომ იგი აბსოლუტურად დარწმუნებულია ადგილობრივი მოსახლეობის მტკიცებულებებში, რომ ქართული ჯარები ახორციელებდნენ მკვლელობებს, წამებას, ძარცვას და სხვა ქონების განადგურებას“*(Georgian troops guilty, 1992, გვ. 10). ამავე პუბლიკაციაში აღნიშნულია ისიც, რომ ქართველი ჯარისკაცები *„ნადირობენ აფხაზთა სახლებზე კონფლიქტის ზონაში, სცემეს მფლობელები და ზოგიერთი მათგანი წამებისა და დახვრეტის მიზნით, გაიტაცეს კიდეც“* (Georgian troops guilty, 1992, გვ. 10). ლორდი დევიდ ენალსის პოზიცია აფხაზების მიერ ჩადენილ დანაშაულზე აღნიშნულ სტატიაში მხოლოდ ერთი ფრაზითაა წარმოდგენილი, რომ ქართველთა აღნიშნულ ქმედებებზე პასუხად *„აფხაზებმა კი თავის მხრივ, დაწვეს ქართველების სახლები, განსაკუთრებით შავი ზღვის სანაპიროზე“*(Georgian troops guilty, 1992, გვ. 10). კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივას ძალიან პესიმისტურად განიხილავს. ერთადერთ გამოსავლად მას მხოლოდ ორივე მხარის სურვილი მიაჩნია მესამე ძალის ჩართვის შესახებ მოლაპარაკებებში (Georgian troops guilty, 1992, გვ. 10).

იმავე თვეში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე, დელეგაციასთან ერთად ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა დიდ ბრიტანეთში (საქართველოს რესპუბლიკა, 1992, გვ. 1) . ვიზიტი ომისა და ეკონომიკური კრიზისის პირობებში მყოფი ქვეყნისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო. ამ დროს მხარეებს შორის გაფორმდა ოთხი ხელშეკრულება სხვადასხვა სფეროებში თანამშრომლობის შესახებ: განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში, ინვესტიციები დაცვისა და წახალისების ხელშეკრულება თავისუფალი გადაადგილების თაობაზე, რომელიც ეხება დიპლომატებს და საგარეო საქმეთა სამინისტროების შეთანხმებას თანამშრომლობასა და კონსულტაციებზე

(ახალგაზრდა ივერიელი, 1992, გვ. 3; The Times, 1992, გვ. 12) . ვიზიტის ნაწილს წარმოადგენდა 23 ნოემბერს დაგეგმილი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის სიტყვით გამოსვლა, „ბრიტანეთის საერთაშორისო საქმეთა ინსტიტუტში“ (Chatham House).

ქართველი დიპლომატის „ჩეთემ ჰაუსში“ გამოჩენას აპროტესტებდა რამდენიმე ათეული პიროვნება. ალექსანდრე ჩიკვაიძე აღნიშნავს, რომ „როგორც დარბაზში, ისე მის გარეთ წარმოდგენილი იყვნენ ჩვენდამი საკმაოდ მწვავე ოპოზიციურად განწყობილი პირებიც. გარეთ-მეთქი რომ ვამბობ, ვგულისხმობ 20-30 კაციან პიკეტს, რომელიც საკმაოდ ხმაურიანად გამოთქვამდა პროტესტს აფხაზეთში საქართველოს მთავრობის პოლიტიკის მიმართ“ (ახალგაზრდა ივერიელი, 1992, გვ. 3). საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის დაკვირვებით, პიროვნებებს, რომლებიც მის მისვლას აპროტესტებდნენ, მკვეთრად გამოხატული „აღმოსავლური გარეგნობა“ და ქცევები ჰქონდათ. აღნიშნულის გათვალისწინებით, მან ივარაუდა, რომ შესაძლოა ისინი კონკრეტული პირების ინიციატივით მივიდნენ. მით უფრო, რომ დარბაზში იმყოფებოდა ქართული მხარისადმი ორი არაკეთილგანწყობილი პიროვნება: ლორდი დევიდ ენალსი და ბრიტანელი აფხაზოლოგი ბრაიან ჯორჯ ჰიუითი. აღნიშნულმა პიროვნებებმა გაზეთ “The Times”-ის 1992 წლის 21 ნოემბრის ნომერში გამოაქვეყნეს წერილი „საქართველო იყენებს ძალას“ , სადაც ისინი მოუწოდებდნენ ბრიტანეთის ხელისუფლებას, არ მიეღო ქართველი დიპლომატი, არ გამოეყო დახმარება საქართველოსთვის, ვინაიდან მათი შეხედულებით, საქართველოს ხელისუფლება აფხაზების წინააღმდეგ იყენებდა ძალას და ებრძოდა მათ (The Times, 1992: 12)

ალექსანდრე ჩიკვაიძემ სიტუაციის განმუხტვა იუმორით სცადა და აღნიშნა, რომ *„მე ძლიერ მიყვარს კლასიკური მუსიკა და საერთოდ მუსიკა, თავადაც ვუკრავ ფორტეპიანოზე და თუმცა ქუჩიდან შემოსული ხმაური კლასიკურ მუსიკაზე მეტად კაკაფონიას ჰგავს, არა უშავს, ვილაპარაკებ აკომპანიმენტის თანხლებით“* (ახალგაზრდა ივერიელი, 1992, გვ. 3). გამოსვლის დროს ალექსანდრე ჩიკვაიძე შეეხო აფხაზეთში მიმდინარე პროცესებს, ისაუბრა იქ აფხაზების და მათი მოკავშირეთა მიერ ქართული მოსახლეობისადმი ჩადენილ განსაკუთრებულ ძალადობაზე, რომელსაც გენოციდის სახე ჰქონდა. როგორც ბრაიან ჯორჯ ჰიუითი წერს, დევიდ ენალსმა, ქართველ დიპლომატს რამდენიმე მწვავე შეკითვა დაუსვა. ლორდმა ენალსმა ალექსანდრე ჩიკვაიძეს განუცხადა, რომ ის სულ რაღაც ორი კვირის წინ იყო გაგრაში და მას აქვს ქართველების მიერ აფხაზების მიმართ განხორციელებული ძალადობის მტკიცებულები. ალექსანდრე ჩიკვაიძემ პასუხად განუცხადა, რომ *„ჩრდილოკავკასიელთა და აფხაზთა სასტიკი ქმედებების გამო რუსეთის საზღვრიდან სოხუმამდე ფაქტობრივად ყველა ქართველის სახლი დაიწვა“* (ახალგაზრდა ივერიელი, 1992, გვ. 3) რაზეც ენალსმა უპასუხა, რომ ის პირადად ესაუბრა იქ მცხოვრებ ქართველებს და ისინი საკუთარ სახლებში რჩებიან. განხილვაში ჩაერთო მარკ ალმონდი, რომელიც აკვირდებოდა 16 ოქტომბერს გამართულ საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებს და საუბარი სხვა საკითხებზე გადავიდა.

აფხაზეთში ქართული მხარის მარცხის შემდეგ, რომელსაც ქართველთა გენოციდი და ეთნოწმენდა მოჰყვა, ასევე ასეულ ათასობით მოქალაქის გამოდევნაც დაემატა. აღნიშნულ ორგანიზაციას არ გაუკეთებია არცერთი განცხადება გენოციდისა და ძალადობის შესახებ. ადამიანის უფლებათა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარემ, ალექსანდრე კავსაძემ, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოაქვეყნა წერილი UNPO-ს ხელმძღვანელის სახელზე (საქართველოს რესპუბლიკა, 1993, გვ. 1) . ალექსანდრე კავკასაძე

პირდაპირ წერს, რომ აღნიშნული ორგანიზაციის და პირადად პრააგის მიერ მხარდაჭერილმა აფხაზმა სეპარატისტებმა: *„რომელთაც თქვენ წარმოადგენთ საერთაშორისო ასპარეზზე, რუსი რეაქციონერების - ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის რუცკოისა და ყოფილი პარლამენტის სპიკერის ხასბულატოვის მორალური და სამხედრო დახმარების მეშვეობით, მოახდინეს საქართველოს განყოფელი ტერიტორიის ოკუპაცია“* ((საქართველოს რესპუბლიკა, 1993, გვ. 1). აღნიშნულია, ასევე აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიმდინარეობს ქართველთა ეთნოწმენდა და ჟენევის კონვენციის დარღვევა, ქართული მოსახლეობა იძულებული გახადეს დაეტოვებინათ საკუთარი სახლები და ეს ყველაფერი დაფიქსირებულია ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, გაერო, ეუთო და ა.შ. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მოუწოდებს პრააგს პირადად ჩამოვიდეს, რათა *„საკუთარი თვალით დარწმუნდეთ თქვენს მიერ მხარდაჭერილი რეჟიმის ანტიჰუმანურ არსში“* (საქართველოს რესპუბლიკა, 1993, გვ. 1). წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნულია, შეიქმნება აზრი, რომ UNPO მხარს უჭერს და ამართლებს არა მარტო სეპარატიზმს და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების რღვევას, არამედ ეთნიკურ წმენდასაც (საქართველოს რესპუბლიკა, 1993, გვ. 1) .

დასკვნა

აფხაზეთის ომი საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე რთულ და გარდამტეხ პერიოდს წარმოადგენს, რომელმაც ათასობით ჩვენი ქვეყნის მოქალაქე შეიწირა და დევნილად აქცია. სახელმწიფოს მიადგა უდიდესი მატერიალური ზიანი და ასევე, ფაქტობრივად, დაიკარგა კონტროლი რეგიონზე. რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა სტრუქტურები აქტიურად მუშაობდნენ სხვადასხვა მიმართულებით, რომ საერთაშორისო საზოგადოების წინაშე ქართული მხარე კონფლიქტში დამნაშავედ გამოეყვანა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის და სხვა ავტორიტეტული სტრუქტურების მიერ აღიარებულია აფხაზეთში ქართველთა გენოციდი და ეთნიკური წმენდა.

ამ ფონზე, “არწარმოდგენილი ერებისა და ხალხების ორგანიზაციის“ მიერ მომზადებული დასკვნები მიკერძოებული და არაობიექტური ჩანს. აღნიშნული ორგანოზაციის მისიებში მონაწილეობდა ასევე ქართული მხარის საწინააღმდეგო პოზიციებს იწერდა ბრიტანელი პოლიტიკოსი დევიდ ენალსი, რომელიც დიდი ბრიტანეთში აფხაზური მხარის პოზიციებს მხარდამჭერი იყო.

ფაქტობრივად, ომის გამჩაღებლად და მთავარ დამნაშავედ გამოყვანილია ქართული მხარე. საქართველოს ხელისუფლება მათ მიერ გამოცხადებულია, როგორც აფხაზი ხალხის მჩაგვრელი და მიზანმიმართულად განადგურების მოსურნე. მათ მიერ მომზადებული დასკვნები ცალმხრივია და ძირითადად ეფუძნება სეპარატისტთა ხელისუფლების მიერ წარმომადგენელთა მიერ მიწოდებულ ინფორმაციას. თითქმის არსად არის აღნიშნული ქართული მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად მიწოდებული ინფორმაცია ან ანკლებად არის გათვალისწინებული.

წარმოდგენილი ნაშრომი საქართველოში მოცემული სადამკვირვებლო მისიის მუშაობისა და მათ მიერ მომზადებული დასკვნების განხილვის პირველ მცდელობას წარმოადგენს.

აღნიშნული ორგანიზაციის დასკვნებს აქტიურად იმოწმებენ ქართული მხარისადმი არაკეთილგანწყობილი მკვლევრები, მათ შორის ბრიტანელი აფხაზოლოგი ბრაიან ჯორჯ ჰიუითი. ასევე როგორც ქართველთა „დანაშაულის“ დამადასტურებელი დოკუმენტი, განთავსებულია აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების პროპაგანდისტულ ვებგვერდზე. წარმოდგენილი ნაშრომში ვეცადეთ გამოგვეკეთა აღნიშნული ორგანიზაციის მიერ მომზადებული დასკვნების სუბიექტური და ობიექტური მხარეები და შესაბამისად აგვეხსნა იგი. ასევე სადამკვირვებლო მისიის რამდენიმე წევრის სუბიექტური და არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულების ახსნა, ქართული მხარისადმი, რომელიც დიდი ალბათობით უარყოფით გავლენას იქონიებდა მომზადებული დასკვნის ობიექტურობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ალექსიძე, ლ. (2008). „საერთაშორისო სამართლის ჟურნალი“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. N 1, 2008. გვ. 33-46.

დიასამიძე, თ. (2002). რეგიონული კონფლიქტები საქართველოში - სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ (1989-2001), პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული. თბილისი: „სანი“.

დოღონაძე, შ. (2002). საქართველო: გზა საერთაშორისო აღიარებიდან საერთაშორისო თანამშრომლობისაკენ. თბილისი: „მეცნიერება“.

ნადარეიშვილი, თ. (1996). გენოციდი აფხაზეთში. ნაწილი 2. თბილისი.

ყოლბაია, ვ., გელანტია, რ., ლაცუზბაია, დ., ჭახრაკია, თ. (2000). საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლება, საერთაშორისო ორგანიზაციები. ნაწილი I. 1989-1999 წ.წ. თბილისი.

ყოლბაია, ვ., გელანტია, რ., ლაცუზბაია., დ, ჭახრაკია, თ. (1999). აფხაზეთის ლაბირინთი: 1992-1993 წლებსა და შემდეგ პერიოდში განვითარებული მოვლენები. თბილისი: „არხატი“.

ყარყარაშვილი, გ. (2025). სამშობლოს ამარა 1989-1992. თბილისი.

ჯოჯუა, დ. (2009). აფხაზეთი 1938-2006 წლებში: რეგიონალური ისტორიული პროცესის ასპექტები. თბილისი.

პაპასქირი, ზ. (2007). ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვეთი II, 1917-1993. თბილისი: „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილიალის გამომცემლობა“.

ჩერვონაია, ს. (1994). აფხაზეთი - 1992: პოსტკომუნისტური საქართველოს ვანდეა. თბილისი: „ჯისიაი“.

Ардзинба, В. (2018). МОЯ ЖИЗНЬ. Основание первого президента Республики Абхазия. Сухум.

Jürgenson, A. (2022). Estonian Orientalist Linnart Mäll and His Role in Activities of the UNPO During the Georgian-Abkhazian Conflict. ABKHAZIA 1992-2022: Reflections on Abkhazia Series. Editors Metin Sönmez and George Hewitt. გვ. 27- 37.

პერიოდული პრესა

გაზეთი. *„ახალგაზრდა ივერიელი“*. (1992) # 79. თბილისი.

გაზეთი. *„7 დღე“*. (1992). # 31. თბილისი.

გაზეთი. *„საქართველოს რესპუბლიკა“*. (1992). # 181. თბილისი.

გაზეთი. *„საქართველოს რესპუბლიკა“*. (1992). # 240. თბილისი.

გაზეთი. *„საქართველოს რესპუბლიკა“*. (1993). # 250. თბილისი.

გაზეთი. *„საქართველოს რესპუბლიკა“*. (1998). # 176. თბილისი.

გაზეთი. "*The Times"*. (1992). November 24th

გაზეთი. "*Newcastle Journal"*. (1992) November 9th.

გაზეთი. "*The Times"*. (1992). November 24th .

საარქივო მასალა:

უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი N 767, აღ.1, ს. 111, ფურც. 15-17: უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. მოხსენებითი ბარათი: საზღვარგარეთ საქართველოს ხელისუფლების პრესტიჟის საწინააღმდეგო კამპანიის შესახებ. უიცა, ფ. 767, აღ.1, ს. 111, ფურც. 15-17.

ელექტრონული მასალები:

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 906: გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 906. (S/1994/343). https://www.abkhazia.gov.ge/laravel-filemanager/files/15. (05.15.2025

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 993: გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 993. https://www.abkhazia.gov.ge/laravel-filemanager/files/16. ((08.07.2025).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუცია 763: http://unscr.com/en/resolutions/doc/763. (08.07.2025).

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 876: Resolution 876 (1993). Adopted by the Security Council at its 3295th meeting, on 19 October 1993. https://digitallibrary.un.org/record/174481?v=pdf. (08.07.2025). გვ. 2-3.

ჟენევის 1949 წლის : ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონენცია სამხედრო ტყვეებთან მოპყრობის შესახებ. https://shsplatforma.com/wp-content/uploads/2016/05/e1839fe18394e1839ce18394e18395e18398e183a1-1949-

e183ace1839ae18398e183a1-12-e18390e18392e18395e18398e183a1e183a2e1839de183a1-iii-e183991.pdf (08.07.2025).

Overeem 1993: Report of a UNPO Mission to Abkhazia, Georgia and the Nothern Caucasus. ”Central Asian Survey”, 1993, 12(3). David Ennals, Margery Farrar, Alvaro Pinto Scholtbach, Linnart Maell, Michael van Waltvan Praag, Charlotte Hille. გვ. 325-345. https://www.tandfonline.com/toc/ccas20/12/3 (08.07.2025).

Overeem 1995: Central Asian Survay 14(1), 1995. გვ. 127-154. Pauline Overeem. Report of a UNPO coordinated human rights mission to Abkhazia and Georgia: Central Asian Survey: Vol 14, No 1 (08.07.2025).

OSCE-Summit of Heads of State or Government 1996: OSCE-Summit of Heads of State or Government. Lisbon, 2-3 December 1996. https://www.osce.org/mc/39539?download=true. (05.15.2025

MEMBER PROFILE OF ABKHAZIA: Ministry of Foreign Affairs of the Republick of Abkhazia.https://unpo.org/members/7854 (08.07.2025).

Report of a UNPO Coordinated Human Rights Mission to Abkhazia and Georgia. David Ennals, Margery Farrar, Alvaro Pinto Scholtbach, Linnart Maell, Michael van Waltvan Praag, Charlotte Hillehttps://unpo.org/downloads/Abkhazia_Georgia_report_1992.pdf. გვ. 21. (08.07.2025).

Report of a UNPO Mission to Abkhazia, Georgia and the Nothern Caucasus. ”Central Asian Survey”, 1993, 12(3). Ennals David , Margery Farrar, Alvaro Pinto Scholtbach, Linnart Maell, Michael van Waltvan Praag, Charlotte Hille. გვ. 325-345. https://www.tandfonline.com/toc/ccas20/12/3 (08.07.2025).

Report of a UNPO Coordinated Human Rights Mission to Abkhazia and Georgia. Ennals David Margery Farrar, Alvaro Pinto Scholtbach, Linnart Maell, Michael van Waltvan Praag, Charlotte Hille. https://unpo.org/downloads/Abkhazia_Georgia_report_1992.pdf (08.07.2025).

Fifth OSCE Summit... 1996: Fifth OSCE Summit of Heads of State or Government, Lisbon, 2-3 December 1996.. https://www.osce.org/files/f/documents/1/0/39539.pdf. (08.07.2025).

https://unpo.org/about/ (08.07.2025).

https://unpo.org/section/2(08.07.2025).

REFERENCES

aleksidze, l. (2008). „saertashoriso samartlis zhurnali“, ivane javakhishvilis sakhelobis tbilisis sakhelmts'ipo universit'et'i. ["Journal of International Law", Ivane Javakhishvili Tbilisi State University]. N 1, 2008. pp. 33-46.

diasamidze, t. (2002). regionuli k'onplikt'ebi sakartveloshi - samkhret osetis avt'onomiuri olki, apkhazetis assr(1989-2001), p'olit'ik'ur-samartlebrivi akt'ebis k'rebuli. [Regional conflicts in Georgia - South Ossetian Autonomous Region, Abkhazian ASSR (1989-2001), Collection of political and legal acts]. Tbilisi: "Sani".

doghonadze, sh. (2002). sakartvelo: gza saertashoriso aghiarebidan saertashoriso tanamshromlobisak'en. tbilisi: „metsniereba“. [Dogonadze, Sh. (2002). Georgia: The Path from International Recognition to International Cooperation. Tbilisi: “Science”]

nadareishvili, t. (1996). genotsidi apkhazetshi. nats'ili 2. tbilisi.[Nadareishvili, T. (1996). Genocide in Abkhazia. Part 2. Tbilisi.]

qolbaia, v., gelant'ia, r., latsuzbaia, d., ch'akhrak'ia, t. (2000). sakartvelos sak'anonmdeblo, aghmasrulebeli khelisupleba, saertashoriso organizatsiebi. nats'ili I. 1989-1999 ts'.ts'. tbilisi. [Kolbaia, V., Gelantia, R., Latsuzbaia, D., Chakhrakia, T. (2000). Legislative, Executive Authorities of Georgia, International Organizations. Part I. 1989-1999. Tbilisi.]

qolbaia, v., gelant'ia, r., latsuzbaia., d, ch'akhrak'ia, t. (1999). apkhazetis labirinti: 1992-1993 ts'lebsa da shemdeg p'eriodshi ganvitarebuli movlenebi. tbilisi: „arkhat'i“. [Kolbaia, V., Gelantia, R., Latsuzbaia., D, Chakhrakia, T. (1999). Labyrinth of Abkhazia: Events in 1992-1993 and Later. Tbilisi: “Arkhati”.]

qarqarashvili, g. (2025). samshoblos amara 1989-1992. tbilisi. Karkarashvili, G. (2025). [The Homeland 1989-1992. Tbilisi] Jojua, D. (2009).

jojua, d. (2009). apkhazeti 1938-2006 ts'lebshi: regionaluri ist'oriuli p'rotsesis asp'ekt'ebi. tbilisi. [Abkhazia in 1938-2006: Aspects of the Regional Historical Process. Tbilisi.]

p'ap'askiri, z. (2007). nark'vevebi tanamedrove apkhazetis ist'oriuli ts'arsulidan, nak'veti II, 1917-1993. tbilisi: „ivane javakhishvilis sakhelobis tsu sokhumis pilialis gamomtsemloba“.[Papaskiri, Z. (2007). [Essays from the Historical Past of Modern Abkhazia, Part II, 1917-1993. Tbilisi: Ivane Javakhishvili TSU Sukhumi Branch Publishing House.]

chervonaia, s. (1994). apkhazeti - 1992: p'ost'k'omunist'uri sakartvelos vandea. tbilisi: „jisiai“.[Chervonaya, S. (1994). Abkhazia - 1992: The Vendée of Post-Communist Georgia. Tbilisi: JSIAI

Ardzinba, V. (2018). MoJa zhizn''. Osnovanie pervogo prezidenta Respubliki Abhazija. Suhum. [Ardzinba, V. (2018). MY LIFE. The founding of the first president of the Republic of Abkhazia. Sukhum.]

Jürgenson, A. (2022). Estonian Orientalist Linnart Mäll and His Role in Activities of the UNPO During the Georgian-Abkhazian Conflict. ABKHAZIA 1992-2022: Reflections on Abkhazia Series. Editors Metin Sönmez and George Hewitt. გვ. 27- 37.

Periodical press

gazeti. „akhalgazrda iverieli“ . (1992) # 79. tbilisi.

gazeti. „7 dghe“ . (1992). # 31. tbilisi.

gazeti. „sakartvelos resp'ublik'a“ . (1992). # 181. tbilisi.

gazeti. „sakartvelos resp'ublik'a“ . (1992). # 240. tbilisi.

gazeti. „sakartvelos resp'ublik'a“ . (1993). # 250. tbilisi.

gazeti. „sakartvelos resp'ublik'a“ . (1998). # 176. tbilisi.

gazeti. “The Times” . (1992). November 24th Gazeti. “*The Times”*. (1992). November 24th

gazeti.. “Newcastle Journal” . (1992) November 9th.

gazeti.. “The Times” . (1992). November 24th .

Archival Materials

uakhlesi ist'oriis tsent'raluri arkivi. pondi N 767, agh.1, s. 111, purts. 15-17: uakhlesi ist'oriis tsent'raluri arkivi. mokhsenebiti barati: sazghvargaret sakartvelos khelisuplebis p'rest'izhis sats'inaaghmdego k'amp'aniis shesakheb. uitsa, p. 767, agh.1, s. 111, purts. 15-17. [Central Archive of Modern History. Fund N 767, ag.1, p. 111, pp. 15-17: Central Archive of Modern History. Report card: About the sports campaign of Georgia's prestige abroad. Uitsa, f. 767, ag.1, p. 111, pp. 15-17]

Electronic Materials

gaeros ushishroebis sabch'os rezolutsia 906: gaeros ushishroebis sabch'os rezolutsia 906. (S/1994/343). https://www.abkhazia.gov.ge/laravel-filemanager/files/15(05.15.2025). [UN Security Council Resolution 906: UN Security Council Resolution 906. (S/1994/343).]

gaeros ushishroebis sabch'os rezolutsia 993: gaeros ushishroebis sabch'os rezolutsia 993. https://www.abkhazia.gov.ge/laravel-filemanager/files/16.(08.07.2025) [UN Security Council Resolution 993: UN Security Council Resolution 993.

gaertianebuli erebis organizatsiis rezolutsia 763: http://unscr.com/en/resolutions/doc/763. (08.07.2025). [United Nations Resolution 763]

gaeros ushishroebis sabch'os rezolutsia 876: Resolution 876 (1993). Adopted by the Security Council at its 3295th meeting, on 19 October 1993. https://digitallibrary.un.org/record/174481?v=pdf.. (08.07.2025). gv. 2-3. [UN Security Council Resolution 876: Resolution 876 (1993). Adopted by the Security Council at its 3295th meeting, on 19 October 1993]

zhenevis 1949 ts'lis : zhenevis 1949 ts'lis 12 agvist'os k'onentsia samkhedro t'qveebtan mop'qrobis shesakhebhttps://shsplatforma.com/wp-content/uploads/2016/05/e1839fe18394e1839ce18394e18395e18398e183a1-1949-e183ace1839ae18398e183a1-12-e18390e18392e18395e18398e183a1e183a2e1839de183a1-iii-e183991.pdf . [Geneva Convention Relative to the Treatment of Prisoners of War of August 12, 1949.]

Overeem 1993: Report of a UNPO Mission to Abkhazia, Georgia and the Nothern Caucasus. ”Central Asian Survey”, 1993, 12(3). David Ennals, Margery Farrar, Alvaro Pinto Scholtbach, Linnart Maell, Michael van Waltvan Praag, Charlotte Hille. pp. 325-345. https://www.tandfonline.com/toc/ccas20/12/3 (08.07.2025).

Overeem 1995: Central Asian Survay 14(1), 1995. pp. 127-154. Pauline Overeem. Report of a UNPO coordinated human rights mission to Abkhazia and Georgia: Central Asian Survey: Vol 14, No 1 (08.07.2025).

OSCE-Summit of Heads of State or Government 1996: OSCE-Summit of Heads of State or Government. Lisbon, 2-3 December 1996. https://www.osce.org/mc/39539?download=true. (05.15.2025

MEMBER PROFILE OF ABKHAZIA: Ministry of Foreign Affairs of the Republick of Abkhazia.https://unpo.org/members/7854 (08.07.2025).

Report of a UNPO Coordinated Human Rights Mission to Abkhazia and Georgia. David Ennals, Margery Farrar, Alvaro Pinto Scholtbach, Linnart Maell, Michael van Waltvan Praag, Charlotte Hillehttps://unpo.org/downloads/Abkhazia_Georgia_report_1992.pdf. pp. 21. (08.07.2025).

Report of a UNPO Mission to Abkhazia, Georgia and the Nothern Caucasus. "Central Asian Survey", 1993, 12(3). Ennals David , Margery Farrar, Alvaro Pinto Scholtbach, Linnart Maell, Michael van Waltvan Praag, Charlotte Hille. pp. 325-345. https://www.tandfonline.com/toc/ccas20/12/3 (08.07.2025).

Report of a UNPO Coordinated Human Rights Mission to Abkhazia and Georgia. Ennals David Margery Farrar, Alvaro Pinto Scholtbach, Linnart Maell, Michael van Waltvan Praag, Charlotte Hille. https://unpo.org/downloads/Abkhazia_Georgia_report_1992.pdf (08.07.2025).

Fifth OSCE Summit... 1996: Fifth OSCE Summit of Heads of State or Government, Lisbon, 2-3 December 1996.. https://www.osce.org/files/f/documents/1/0/39539.pdf. (08.07.2025).

https://unpo.org/about/ (08.07.2025).

https://unpo.org/section/2. (08.07.2025).